მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის ბარიერები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საქართველოში

ინტელექტუალური შეზღუდვისა და ფსიქო-სოციალური საჭიროებების მქონე ქალების გამოცდილებები

თბილისი, საქართველო

2025

მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის ბარიერები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საქართველოში

ინტელექტუალური შეზღუდვისა და ფსიქო-სოციალური საჭიროებების მქონე ქალების გამოცდილებები

თბილისი, საქართველო

2025

ავტორი:

თამარ გაბოძე

ანგარიში დაიწერა პროექტის – „ქალთა ლიდერობა დემოკრატიისთვის საქართველოში“ – ფარგლებში შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს და გაეროს ქალთა ორგანიზაციის გლობალური პროგრამის „ყველა ქალი და გოგო მნიშვნელოვანია“ ფინანსური მხარდაჭერით.

ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით მხოლოდ მის ავტორებს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ან CRRC-საქართველოს ოფიციალურ პოზიციას.

სარჩევი

აბრევიატურები 4

მოკლე შეჯამება 5

შესავალი 6

კონტექსტის მიმოხილვა 7

სოციალური და ფინანსური გარემო 7

ინსტიტუციური და პოლიტიკური გარემო 8

მეთოდოლოგია 10

მიგნებების აღწერა, ანალიზი და განხილვა 12

სოციალური და ფინანსური ბარიერები 12

თემის გავლენა და ფინანსური დამოუკიდებლობის არქონა *12*

შურისძიების და შვილებთან დაშორების შიში *13*

ინსტიტუციური ბარიერები 15

ინფორმაციის სიმწირე სამართლებრივი დაცვის მექანიზმებზე და უნდობლობა ინსტიტუტების მხრიდან *15*

სამართალდამცავი ორგანოებთან ურთიერთობის ბარიერები *16*

სასამართლო პროცესებში მონაწილეობის ბარიერები *17*

დასკვნა 19

რეკომენდაციები 20

საქართველოს მთავრობას 20

იუსტიციის საბჭოს 20

შინაგან საქმეთა სამინისტროს 20

ბიბლიოგრაფია 21

აბრევიატურები

1. CRPD – Convention on the Rights of Persons with Disabilities (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია)
2. CEDAW - Convention on the Elimination of All Forms of Discrimination Against Women (ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია)
3. OHCHR – Office of the United Nations High Commissioner for Human Rights (გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი)
4. WHO – World Health Organization (მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია)
5. UNDP – United Nations Development Programme (გაეროს განვითარების პროგრამა)
6. UN Women – United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women (გაეროს ქალთა ორგანიზაცია)
7. GREVIO – Group of Experts on Action against Violence against Women and Domestic Violence (ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი

მოკლე შეჯამება

ანგარიშში წარმოდგენილი კვლევის მიზანი იყო ფსიქო–სოციალური საჭიროებების და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე ქალების მართლმსაჯულებაზე წვდომის ბარიერების გამოვლენა საქართველოში. კვლევა განხორციელდა თვისებრივი მეთოდის გამოყენებით და ეფუძნება ნახევრად სტრუქტურირებულ სიღრმისეულ ინტერვიუებს, რომლებმაც რესპონდენტთა ინდივიდუალური გამოცდილებების სიღრმისეული ანალიზი გახადა შესაძლებელი. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ფსიქო–სოციალური საჭიროებებისა და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე ქალებმა და მათ უფლებებზე მომუშავე ადვოკატებმა.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ არსებული სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმები ხშირად მხოლოდ ფორმალურია და ვერ უზრუნველყოფს სამიზნე ჯგუფის უფლებების რეალურ დაცვას. ინტელექტუალური შეზღუდვის და ფსიქო–სოციალური საჭიროებების მქონე ქალები არ ფლობენ საკმარის ინფორმაციას უფლებებსა და სამართლებრივ მექანიზმებზე, არ ჰყავთ მხარდამჭერთა საკმარისი წრე. მოძალადის შიში და მასზე ეკონომიური დამოკიდებულება აბრკოლებს მათ, ისარგებლონ მართლმსაჯულების უფლებით. იმ შემთხვევებში, როდესაც მიმართავენ სამართალდამცავ ორგანოებს, მათი მხრიდან ხშირად არ არის ეფექტური რეაგირება. ქალები, რომლებმაც მართლმსაჯულების პროცესში მიიღეს მონაწილეობა, მიუთითებენ სამართალდამცავი ორგანოების და სასამართლოს მხრიდან დისკრიმინაციულ და სტერეოტიპულ დამოკიდებულებებზე.

კვლევის მიგნებები ასახავს სამიზნე ჯგუფის წინაშე არსებულ მრავალმხრივ გამოწვევებს და ხაზს უსვამს სისტემური ცვლილებების აუცილებლობას, რათა მართლმსაჯულების სისტემა გახდეს ინკლუზიური და თანაბრად მისაწვდომი ყველასთვის. კვლევა წარმოადგენს ადვოკატირების და პოლიტიკის შემმუშავებლებისთვის მნიშვნელოვან საფუძველს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ინტელექტუალური შეზღუდვისა და ფსიქო–სოციალური საჭიროების მქონე ქალების ძალადობისგან დაცვა და თანაბარი წვდომა მართლმსაჯულებაზე.

შესავალი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის მე-6 მუხლი მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს მიიღოს ყველა საჭირო ზომა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების უფლებების და თავისუფლებების დაუბრკოლებლად სარგებლობისთვის.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს და გოგოებს, სხვებთან შედარებით, მეტად ემუქრებათ ძალადობის, ექსპლუატაციისა და სასტიკი მოპყრობის საფრთხე.[1] ისინი აწყდებიან ბარიერებს ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: განათლება, ეკონომიური შესაძლებლობები, სოციალური ინტერაქცია, მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობა და სამართლის სუბიექტად აღიარება.[2] ამის მიზეზია მავნებლური სტერეოტიპები, დისკრიმინაცია, პროცედურული თუ გონივრული მისადაგების არარსებობა, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მათ სანდოობას.[3] გაეროს ქალთა ორგანიზაციის და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2022 წლის ეროვნულმა კვლევამ საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ გამოავლინა, რომ ქალების 50.1%-ს (15–69 ასაკობრივ ჯგუფში) გამოუცდია, როგორც მინიმუმ, ერთი ფორმის ძალადობა ცხოვრების განმავლობაში.[4]

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები, სხვა ქალებთან შედარებით, უფრო არიან ძალადობის და დისკრიმინაციის საფრთხის ქვეშ. აღნიშნულზე მიუთითებს აქამდე არსებული კვლევები, რომელთა თანახმად, ყველაზე გავრცელებულ ფორმებად იზოლაცია, ფსიქოლოგიური, ეკონომიური და ფიზიკური ძალადობა გამოვლინდა.[5] არსებული კვლევები იშვიათად მოიცავს ინტელექტუალური შეზღუდვისა და ფსიქო-სოციალური საჭიროებების მქონე ქალების გამოცდილებას, რამაც საჭიროდ გახადა საკითხის უფრო სიღრმისეული შესწავლა. თუმცა, მწირი მონაცემებითაც კარგად ჩანს მათ წინაშე არსებული გამოწვევები.[6]

წინამდებარე კვლევა, თვისებრივი მეთოდის გამოყენებით, მიზნად ისახავს შემდეგი საკითხების გამოვლენას:

რა ცოდნა აქვთ ფსიქო-სოციალური საჭიროებებისა და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე ქალებს საკუთარი უფლებებისა და სამართლებრივი მექანიზმების შესახებ; რა ბარიერები აბრკოლებთ მათ, მიმართონ სამართალდამცავ ორგანოებს; როგორია იმ ქალების გამოცდილება, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა სამართალდამცავი ორგანოების პროცედურებსა და სასამართლო პროცესებში.

კვლევა ავსებს იმ ცოდნას, რომელიც არსებობს გენდერული ძალადობისა და შეზღუდული შესაძლებლობის მიმართულებით საქართველოში. ის არა მხოლოდ ავლენს სისტემურ ბარიერებსა და სტერეოტიპებს, არამედ ხაზს უსვამს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, უზრუნველყოს სამიზნე ჯგუფის უფლებების სრული და ეფექტური რეალიზება.

კონტექსტის მიმოხილვა

სოციალური და ფინანსური გარემო

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისთვის ძალადობისგან თავის დაღწევა მრავალი კომპლექსური ბარიერის გადალახვას უკავშირდება, რომელთაგან სოციალური და ფინანსური გარემო ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. სოციალური ნორმები და საზოგადოებაში დამკვიდრებული გენდერული სტერეოტიპები განსაზღვრავენ ქალთა და კაცთა როლებს, სოციალურ სტატუსსა და ქცევის მოლოდინებს. ჩვეულებებზე დამყარებული მიდგომა, რომ ქალები კაცებზე არიან დამოკიდებულნი, ხელს უწყობს ძალადობრივი და იძულებითი ხასიათის პრაქტიკის ჩამოყალიბებას, რის გამოც ქალთა წინააღმდეგ ხორციელდება სხვადასხვა ფორმის ძალადობა. ასეთი საზიანო პრაქტიკა ქალების კონტროლის და ძალადობრივი ქმედებების გასამართლებლად გამოიყენება.[7]

აღნიშნული გამოწვევები კიდევ უფრო უარყოფითად აისახება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებზე. შშმ ქალები განიცდიან ფიზიკურ, ემოციურ და ფინანსურ ძალადობას. ისინი საუბრობენ ოჯახის წევრების მხრიდან მათ კონტროლზე. ამასთან, მათი აზრით, აკრძალვები ოჯახის წევრების მხრიდან არ ხდება მათი უსაფრთხოებისა და დაცვის მიზნით, არამედ ისინი უფრო მეტად ემსახურება ოჯახის იმიჯის და რეპუტაციის შენარჩუნებას საზოგადოებაში. [8] სამიზნე ჯგუფის ფინანსური დამოუკიდებლობის არქონა კიდევ უფრო ამძაფრებს მათ სოციალურ იზოლაციას და ზრდის ძალადობის რისკს. შშმ ქალებს გაცილებით ნაკლები ანაზღაურება აქვთ, ვიდრე შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე ქალებს.[9]

ფინანსური დამოკიდებულება მოძალადეზე ან ოჯახის სხვა წევრებზე ქმნის მნიშვნელოვან ბარიერს, რომელიც ართულებს ძალადობის შესახებ ღიად საუბარს ან ძალადობრივი გარემოს დატოვებას. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ქალს არ აქვს საკუთარი შემოსავალი ან საცხოვრებელი ადგილი. ქალები, რომლებიც ფინანსურ ძალადობას განიცდიან, ხშირად ვერ ახერხებენ მოძალადისგან დამოუკიდებლად ცხოვრებას ფინანსური დამოკიდებულების გამო. ქალების 91.5%, რომლებიც ფინანსური ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ, აღნიშნავენ, რომ მათთვის რთული იყო მოძალადისგან დამოუკიდებლად ცხოვრება ფინანსური რესურსების არარსებობის გამო.[10]

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი №3 (2016) ხაზგასმით მიუთითებს სახელმწიფოს ვალდებულებაზე, შექმნას ისეთი სოციალური და ფინანსური პირობები, რომლებიც შშმ ქალებს მისცემს ფინანსური დამოუკიდებლობის რეალურ შესაძლებლობას, რადგან ფინანსური რესურსები პირდაპირ არის დაკავშირებული ძალადობისგან დაცვის მექანიზმებთან.

შშმ ქალების გაძლიერება და მხარდაჭერა უნდა ემყარებოდეს მათ ფინანსურ დამოუკიდებლობასა და სიღარიბის შემცირებას, რაც ძალადობის პრევენციისა და რეაგირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ფინანსური ავტონომია ზრდის ქალთა შესაძლებლობას, მიიღონ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები, დატოვონ ძალადობრივი გარემო და აღიდგინონ კონტროლი საკუთარ ცხოვრებაზე. ამგვარად, სოციალური და ფინანსური გარემოს გაუმჯობესება წარმოადგენს ძალადობისგან დაცვის, თანასწორობისა და ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან წინაპირობას.

ინსტიტუციური და პოლიტიკური გარემო

საქართველოს კანონმდებლობა შეიცავს გარანტიებს ქალთა უფლების დაცვის მიმართულებით. გარდა ეროვნული კანონმდებლობისა, საერთაშორისო ხელშეკრულებები, მათ შორის „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია“ (CEDAW), „ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ კონვენცია“ (სტამბულის კონვენცია) და „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია“ (CRPD) ავალდებულებს სახელმწიფოებს მიიღონ ყველა საჭირო და ეფექტური ზომა ქალების ძალადობისგან დაცვისა და სამართლებრივ მექანიზმებზე დაუბრკოლებლად სარგებლობისთვის. თუმცა, აღნიშნული ვალდებულების განხორციელება პრაქტიკაში ხშირად არაეფექტურია. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დასაცავად სახელმწიფოს მიერ ბოლო წლებში გატარებული გარკვეული პოზიტიური ღონისძიებების მიუხედავად, მნიშვნელოვანი გამოწვევები კვლავაც არსებობს.[11]

შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 26 აგვისტოს წერილით ირკვევა, რომ 2021–2024 წლებში შშმ პირთა უფლებებსა და მათთან კომუნიკაციის, ასევე შშმ პირების სამართალწარმოებაზე მისაწვდომობის რელევანტურ საკითხებთან დაკავშირებით, გადამზადებულია სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის 5800–მდე თანამშრომელი, მათ შორის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები,[12] რაც დადებითად შეიძლება შეფასდეს. თუმცა, კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო ინსტიტუტები ვერ უზრუნველყოფენ მართლმსაჯულების პროცესის ისეთ სტანდარტს, რომელიც სრულად ითვალისწინებს სამიზნე ჯგუფის საჭიროებებს და უზრუნველყოფს ინკლუზიურ, თანასწორ და დისკრიმინაციისგან თავისუფალ გარემოს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის 31–ე მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოებს დაამუშაონ შშმ პირთა შესახებ სტატისტიკური მონაცემები, კონვენციის ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო პოლიტიკის შემუშავების მიზნით. მიუხედავად აღნიშნული ვალდებულებისა, არ არსებობს შშმ ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ დეტალური სტატისტიკა, რაც აფერხებს მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებას. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრიდან (112) მიღებული ინფორმაციის თანახმად, ცენტრი სამიზნე ჯგუფის ძალადობასთან

დაკავშირებით გაკეთებული შეტყობინების სტატისტიკურ მონაცემებს არ ამუშავებს.[13] შინაგან საქმეთა სამინიტროს 2025 წლის 26 აგვისტოს წერილით ირკვევა, რომ ფსიქო–სოციალურ საჭიროებისა და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე ქალების ძალადობასთან დაკავშირებით არ ხდება სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება. [14] თბილისის, თელავის, რუსთავის, ბათუმის და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების მიერ მიღებული ინფრომაციის თანახმად,შემკავებელი და დამცავი ორდერების გამოცემის დროს, არ მუშავდება სტატისტიკური ინფორმაცია ქალის ინტელექტუალური შეზღუდვის ან ფსიქო–სოციალური საჭიროების შესახებ.[15]

სამიზნე ჯგუფის მიმართ ძალადობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის არქონა გამორიცხავს პრობლემის მასშტაბის რეალურ გამოვლენას, მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის დაგეგმვას და ეფექტიანი რეაგირების მექანიზმების ჩამოყალიბებას.

ინსტიტუციური სისუსტის პირობებში, არასამთავრობო ორგანიზაციები ასრულებდნენ შშმ პირთა უფლებების დაცვის და სერვისების მიწოდების ფუნქციას. მათ შორის, იურიდიული დახმარების, ფსიქო–სოციალური მხარდაჭერისა და ადვოკატირების გზით. 2023–2025 წლებში მიღებულმა რეგულაციებმაც, მათ შორის „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონმა[16] და გრანტების შესახებ კანონში შეტანილმა ცვლილებებმა[17], მნიშვნელოვნად შეაფერხეს აღნიშნული ორგანიზაციების საქმიანობა. შედეგად, 2025 წლისთვის ამ ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა შეამცირა ან შეწყვიტა საქმიანობა, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს სამიზნე ჯგუფის დაუცველობას და ართულებს მათთვის საჭირო სერვისებზე წვდომას.

მეთოდოლოგია

ვინაიდან კვლევა სენსიტიური და კომპლექსური საკითხების გაანალიზებას ისახავდა მიზნად, მონაცემების შეგროვებისა და ანალიზისთვის შეირჩა თვისებრივი მეთოდები. რამდენადაც ძალადობისა და მართლმსაჯულებაზე წვდომის ბარიერები ინდივიდუალური გამოცდილებების დონეზე ვლინდება, რაოდენობრივი კვლევის მეთოდები ვერ უზრუნველყოფდა პრობლემის სიღრმისეულ გაგებას. კვლევის სამიზნე ჯგუფთან ჩატარდა ნახევრად–სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუები, რაც რესპონდენტებს აძლევდა შესაძლებლობას, საკუთარი გამოცდილება დეტალურად და თავისუფლად გაეზიარებინათ.

ინტერვიუები ჩატარდა სამ ძირითად ჯგუფთან:

1. ფსიქო–სოციალური საჭიროებებისა და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე ქალებთან, რომლებსაც აქვთ ძალადობის გამოცდილება, თუმცა, არ მიუმართავთ სამართალდამცავი ორგანოებისთვის;
2. ფსიქო–სოციალური საჭიროებების და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე ქალებთან, რომლებსაც აქვთ ძალადობის გამოცდილება და მონაწილეობა მიიღეს მართლმსაჯულების პროცესში;
3. ადვოკატებთან, რომლებიც სამიზნე ჯგუფს უწევდნენ სამართლებრივ დახმარებას.

შერჩევის კრიტერიუმები მოიცავდა ასაკს, ოჯახურ მდგომარეობასა და საცხოვრებელ გარემოს, რათა უზრუნველყოფილიყო რესპონდენტთა მრავალფეროვნება. ინტერვიუების მონაცემები დამუშავდა თემატური ანალიზის მეთოდით.

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროდან, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრიდან (112), საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან და სასამართლოდან გამოთხოვილი იქნა საჯარო ინფორმაცია. ინფორმაციის გამოთხოვის მიზანი იყო სამიზნე ჯგუფის დაზარალებულად ცნობის სტატისტიკური მონაცემების მოძიება, შსს–ს ორგანოებში გაკეთებული შეტყობინებისა და მასზე რეაგირების, შემაკავებელი და დამცავი ორდერების გაცემისა და სამიზნე ჯგუფის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებზე გამამტყუნებელი განაჩენების შესახებ მონაცემების მიღება.

კვლევის სენსიტიური ხასიათის გათვალისწინებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ეთიკურ სტანდარტებს. თითოეული ინტერვიუ ჩატარდა უსაფრთხო და ნდობაზე დაფუძნებულ გარემოში, რათა რესპონდენტებს ჰქონოდათ შესაძლებლობა, ღიად ესაუბრათ საკუთარ გამოცდილებაზე. ყველა რესპონდენტმა ინტერვიუში მონაწილეობა მიიღო ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე.

რესპონდენტებს წინასწარ განემარტათ კვლევის მიზნები, მათი მონაწილეობის მნიშვნელობა, კონფიდენციალურობის დაცვა და მონაცემების გამოყენების წესები. ინტერვიუების ტრანსკრიპციის დასრულების შემდეგ აუდიო ჩანაწერები განადგურდა.

კვლევის ძირითად შეზღუდვას წარმოადგენს ის, რომ კვლევის დასკვნები ვერ ვრცელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა ქალზე, რადგან ის მხოლოდ კონკრეტულ ქვეჯგუფზეა ორიენტირებული. კვლევა მოიცავს მხოლოდ ინტელექტუალური შეზღუდვის და ფსიქო–სოციალური საჭიროების მქონე ქალების ფიზიკური და სექსუალური ძალადობის გამოცდილებებს. შესაბამისად, ვერ ფარავს სხვა ტიპის შეზღუდვის მქონე ქალების და ძალადობის სხვა ფორმების ანალიზს. აღნიშნული შეზღუდვა ხაზს უსვამს დამატებითი კვლევების აუცილებლობას, რომლებიც მოიცავს შშმ ქალების სხვა კატეგორიებსაც, რათა მოხდეს უფრო სიღრმისეული და ყოვლისმომცველი ანალიზი.

მიგნებების აღწერა, ანალიზი და განხილვა

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მართლმსაჯულებაზე წვდომა მრავალმხრივი სოციალური, ფინანსური და ინსტიტუციური ბარიერების გამო მნიშვნელოვნად იზღუდება. ინფორმაციის დეფიციტი, ფინანსური დამოუკიდებლობის არქონა, მხარდამჭერთა წრის სიმცირე, შვილების დაკარგვისა და შურისძიების შიში აიძულებს ქალებს წლების განმავლობაში იცხოვრონ ძალადობრივ გარემოში. ხოლო ქალები, რომლებმაც გადაწყვიტეს ესარგებლათ მართლმსაჯულებით, გახდნენ დისკრიმინაციის მსხვერპლნი და ხელმეორედ ტრავმირებულნი.

სოციალური და ფინანსური ბარიერები

თემის გავლენა და ფინანსური დამოუკიდებლობის არქონა

კვლევამ აჩვენა, რომ სამიზნე ჯგუფისთვის ძალადობისგან თავის დაღწევის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ბარიერი მხარდამჭერი წრის სიმცირეა. ხშირად ძალადობაგამოვლილი ქალი სამართალდამცავ ორგანოს მაშინ მიმართავს, როდესაც მას ოჯახი, მეგობარი ან საზოგადოების სხვა წევრი უჭერს მხარს. ქალების მონათხრობიდან ირკვევა, რომ როდესაც მათ სურდათ მოძალადისგან დაეღწიათ თავი, ოჯახი უმეტეს შემთხვევაში, უარს ეუბნებოდა დახმარებაზე:

> *„26 წლის ასაკში მივედი დედასთან. ვუთხარი, რომ სახლიდან წამოსვლა მინდოდა, აღარ შემეძლო იმ კაცთან ცხოვრება. დედაჩემმა კარი მომიკეტა, უარი მითხრა, ატირებული წამოვედი დედის სახლიდან“ (რესპონდენტი N1, 40 წლის ფსიქო–სოციალური საჭიროების მქონე ქალი).*

რესპონდენტთა ნაწილმა აღნიშნა, რომ ოჯახის წევრები პირდაპირ აფრთხილებდნენ სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობისგან თავის შეკავების შესახებ. მცირე თემებში ეს ზეწოლა განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდება, რადგან ძალადობის ფაქტის გახმაურება აღიქმება როგორც ოჯახის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი:

> *„ჩემს ძმას რცხვენოდა ჩემგამო, რადგან მე ვამბობდი, რომ ჩემი ქმარი ძალადობდა. ხალხს არ უნდა გაეგო, მიკრძალავდა ამის თქმას ხმამაღლა“ (რესპონდენტი N1, 40 წლის ფსიქო–სოციალური საჭიროების მქონე ქალი).*

ოჯახის მხრიდან მხარდაჭერის არარსებობა მნიშვნელოვნად ამძიმებს ქალის მდგომარეობას და ახალისებს მოძალადის ქცევას. აღნიშნულს ემატება სამიზნე ჯგუფის ფინანსური დამოუკიდებლობის არარსებობა. კვლევამ გამოავლინა, რომ მოძალადეზე ფინანსურად დამოკიდებულება ქალებისთვის თითქმის შეუძლებელს ხდის ძალადობისგან თავის დაღწევას, რადგან სამართლებრივი პროცედურების

დაწყებამ შესაძლებელია ისინი საცხოვრებლის, მედიკამენტების თუ სხვა საბაზისო საჭიროებების გარეშე დატოვოს:

> *„კარგად იცით, რა ძნელია შშმ ადამიანის დასაქმება. მე არ ვმუშაობდი და ამ ფინანსური ბერკეტით ვყავდი ყურებით გამოჭერილი, რომ ვყოფილიყავი ჩუმად და არ ამომეღო ხმა“ (რესპონდენტი N4, 32 წლის ფსიქო–სოციალური საჭიროების მქონე ქალი).*

აღნიშნული გარემოება ხაზს უსვამს ქალების ფინანსური დამოუკიდებლობის და გაძლიერების აუცილებლობას, რადგან მოძალადეზე ფინანსური დამოკიდებულება სამიზნე ჯგუფის შემთხვევაში წარმოადგენს ძალადობის განმამტკიცებელ ძირითად ფაქტორს.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისთვის ძალადობისგან თავის დაღწევის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად იზღუდება როგორც სოციალური, ისე ფინანსური დამოკიდებულებების გამო. ოჯახის და თემის მხრიდან მხარდაჭერის ნაკლებობა, საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება და ძალადობის ფაქტების ტაბუირება ქალებს ტოვებს იზოლაციაში და ამცირებს სამართლებრივი დაცვის მექანიზმებით სარგებლობის შესაძლებლობას. ამ ფაქტორს ემატება ფინანსური დამოკიდებულება. ფინანსური რესურსებისა და დასაქმების შესაძლებლობების სიმცირე ქალებს დამოკიდებულს ხდის მოძალადეზე. შედეგად, სოციალური და ფინანსური ფაქტორების ერთობლიობა ქმნის სისტემურ ბარიერებს, რომლებიც არა მხოლოდ ამძაფრებს ქალთა მოწყვლადობას, არამედ ხელს უწყობს ძალადობის გამეორების მაღალ რისკს. აღნიშნული გარემოება ხაზს უსვამს ქალთა ფინანსური გაძლიერებისა და მხარდაჭერის მექანიზმების აუცილებლობას, როგორც ძალადობის პრევენციისა და ქალების გაძლიერებაზე ორიენტირებული სახელმწიფო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილზე.

შურისძიების და შვილებთან დაშორების შიში

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები, სამართლებრივი პროცედურების დაწყების შემთხვევაში, შესაძლებელია გაცილებით რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ სხვა ქალებთან შედარებით. მათ შორის საოჯახო დავებში, განქორწინებისა და შვილების მეურვეობის საკითხებში.

ინტერვიუების ანალიზმა აჩვენა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისთვის ძალადობისგან თავის დაღწევის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ბარიერი სწორედ ოჯახის წევრების, განსაკუთრებით შვილების, დაკარგვის შიშია. მოძალადე ხშირად იყენებს ბავშვებზე კონტროლს, როგორც ფსიქოლოგიური ზეწოლის იარაღს და ქალს ემუქრება, რომ დაშორების ან პოლიციისთვის მიმართვის შემთხვევაში, არ მისცემს შვილებთან ურთიერთობის შესაძლებლობას.

„მე რომ მისგან წამოვსულიყავი ერთ საათში ჩამომართმევდნენ დედობის უფლებას,იმხელა გავლენა ჰქონდა ჩემს ქმარს. დამტოვებდნენ ისე, რომ შვილები ვერც მიცნობდნენ დღეს. გადავწყვიტე, რომ გამეზარდა შვილები, მიმეყვანა სრულწლოვანებამდე და მერე წამოვსულიყავი“ (რესპონდენტი N1, 40 წლის ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე ქალი).

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის უფლებათა კოდექსი კრძალავს ბავშვის მშობელთან განცალკევებას მშობლის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსიდან გამომდინარე, სხვა რეგულაციების მსგავსად, აღნიშნული ნორმაც ფორმალურ ჩანაწერს წარმოადგენს. შვილებთან განშორების შიში გამოვლინდა ერთ-ერთ მიზეზად, რის გამოც ქალები თავს იკავებენ სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებისგან.

გარდა შვილებთან განშორებისა, კვლევის მიგნებად გამოვლინდა ძალადობის განმეორებისა და შურისძიების შიში. ქალები ხშირად ვერ სარგებლობენ სამართლებრივი მექანიზმებით, რადგან ფიქრობენ, რომ ამით მათი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება:

„პოლიციაში მიმართვაზე არც მიფიქრია, ვიცოდი, რაც დამემართებოდა. მქონდა სურვილი, რომ დამემთავრებინა ეს ძალადობა, მაგრამ მეშინოდა, ვიცოდი დავისჯებოდი ამის გამო“ (რესპონდენტი N1, 40 წლის ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე ქალი).

შემაკავებელი ორდერების გაცემისას რისკების არასათანადო შეფასება, მოძალადე პირებისთვის ქცევის კორექციის პროგრამების არაეფექტურობა და დაზარალებულთათვის მხარდაჭერის სერვისების დეფიციტი ქმნის გარემოს, სადაც ქალები იძულებულნი არიან უარი თქვან სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გამოყენებაზე.

კვლევის შედეგები ცალსახად მიუთითებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები სამართლებრივი პროცედურების ინიცირებისას განსაკუთრებულად მოწყვლად მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, რაც განპირობებულია როგორც ინსტიტუციური, ისე ფსიქოლოგიური და სოციალური ბარიერების ერთობლიობით. შვილების დაკარგვის შიში, რომელიც ხშირად გამოყენებულია მოძალადეთა მხრიდან ფსიქოლოგიური ზეწოლის იარაღად, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქალების გადაწყვეტილებაზე, მოითხოვონ სამართლებრივი დაცვა.

გარდა ამისა, ძალადობის განმეორებისა და შურისძიების შიში, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან არასათანადო რეაგირებასა და დაცვის სერვისების სიმცირესთან ერთად, კიდევ უფრო ამძაფრებს ქალების დაუცველობას. შედეგად, შშმ ქალები იძულებულნი ხდებიან უარი თქვან სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებაზე, რაც არღვევს მათ უფლებას უსაფრთხოებისა და სამართლიანობაზე წვდომის კუთხით. აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, განავითაროს ყოვლისმომცველი, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მხარდაჭერის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ეფექტიან რეაგირებას ძალადობის შემთხვევებზე, ისე შშმ ქალების უსაფრთხოების რეალურ გარანტიებს.

ინსტიტუციური ბარიერები

ინფორმაციის სიმწირე სამართლებრივი დაცვის მექანიზმებზე და უნდობლობა ინსტიტუტების მხრიდან

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-12 მუხლის თანახმად, სახელმწიფო აღიარებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებაუნარიანობას სხვებთან თანასწორად. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის კომენტარი N1 (2014) ავალდებულებს სახელმწიფოს სრულად შეაფასონ სამართლის ყველა სფერო, რათა შშმ პირთა სამართალსუბიექტობა არ შეიზღუდოს სხვა პირებთან შედარებით.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ფსიქო-სოციალური საჭიროებებისა და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე ქალების მნიშვნელოვანი ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას საკუთარი უფლებებისა და სამართლებრივი მექანიზმების შესახებ. ხოლო ის ქალები, რომლებიც მონაწილეობდნენ მართლმსაჯულების პროცესში, აღნიშნავენ, რომ მათი არ სჯერა არც სასამართლოს და არც პოლიციას, რის გამოც კონკრეტული მტკიცებულების არარსებობის პირობებში თავს იკავებენ მიმართონ სამართლებრივ მექანიზმებს:

> *„ვაპირებდი სიკვდილით დამესრულებინა ყველაფერი, მაგრამ კამერის (მტკიცებულების) პოვნა იყო გადამწყვეტი მომენტი. მე, მისმა ყურმოჭრილმა მონამ, გავბედე და გადავწყვიტე მიმემართა პოლიციისთვის" (რესპონდენტი N2, 32 წლის ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე ქალი).*

საკმარისი ინფორმაციის არქონასთან ერთად გამოვლინდა ძალადობის ნორმალიზება მოძალადის მხრიდან, რასაც იგი იყენებდა ბავშვების წინააღმდეგ სექსუალური ძალადობისთვის:

> *„პატარა როცა ვიყავი, ამ ყველაფერზე, რასაც აკეთებდა, მეუბნებოდა, რომ მამები ასე ექცეოდნენ შვილებს. ეს იმდენად არანორმალური იყო, ჩემს კლასელს ვკითხე, მასაც ეფერებოდა თუ არა მამა სხეულზე. იმ გოგოს გაოცებული სახე ახლაც მახსოვს. მაშინ მივხდი, ეჭვი, რომ ჩემს თავს რაღაც საშინელება ხდებოდა, სიმართლე იყო" (რესპონდენტი N2, 32 წლის ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე ქალი).*

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების წინაშე არსებული ზემოთ მითითებული გარემოებები ადასტურებს სამართლებრივ ჩარჩოსა და პრაქტიკას შორის არსებულ შეუსაბამობას. ინფორმაციის ნაკლებობა, ინსტიტუციების მხრიდან უნდობლობა და დისკრიმინაციული დამოკიდებულებები არა მხოლოდ არღვევს სამიზნე ჯგუფებისთვის კანონით მინიჭებულ უფლებებს, არამედ სამომავლოდ უკარგავს მათ რწმენას ინსტიტუციების მიმართ და უზღუდავს წვდომას სამართლებრივ მექანიზმებზე.

სამართალდამცავი ორგანოებთან ურთიერთობის ბარიერები

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის პირთა უფლებების კონვენციის მე–13 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოს უზრუნველყოს მართლმსაჯულების ეფექტური მისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, იმ პროცესუალური და ასაკთან შესაბამისი კორექტივების გათვალისწინებით, რომლებიც ხელს უწყობს მათ მონაწილეობას მართლმსაჯულების ყველა ეტაპზე. სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები იმ შემთხვევაში ჩაითვლება ეფექტურად, თუ შშმ ქალებისათვის იძლევა კონვენციაში განსაზღვრული ფუნდამენტური უფლებებითა და თავისუფლებებით სრულად სარგებლობის გარანტიას.[18]

კვლევამ აჩვენა, რომ ძალადობის შესახებ განცხადებების შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები სამიზნე ჯგუფის მიმართვას არ ანიჭებენ სათანადო მნიშვნელობას. ზოგიერთ შემთხვევაში კი საერთოდ არ რეაგირებენ. თუ პოლიციას მიმართავს ფსიქო–სოციალური საჭიროების მქონე ქალი ან დასახმარებლად გამოიძახებს საპატრულო პოლიციას, პოლიციის თანამშრომლები უფრო მეტად ეკონტაქტებიან ოჯახის წევრს:

> *„ძალიან უსამართლოდ მექცეოდნენ. ჩემთვის კითხვები არ დაუსვამთ. როცა მე ვარ დაზარალებული და მე გირეკავ, არ უნდა მკითხო რატომ გამოვიძახე პოლიცია?“ (რესპონდენტი N11, 63 წლის ფსიქო–სოციალური საჭიროების მქონე ქალი).*

ასევე, გამოიკვეთა, რომ პოლიციის განყოფილებებში არ იყო სამიზნე ჯგუფის საჭიროებებზე მორგებული გარემო. უმეტეს შემთხვევაში გამოვლინდა კონფიდენციალური სივრცის არ არსებობა. სამიზნე ჯგუფის უფლებებზე მომუშავე ადვოკატები აღნიშნავენ, რომ მათ სჭირდებათ დიდი ძალისხმევა იმისთვის, რომ შშმ ქალის ძალადობაზე გამოძიება დაიწყოს. ხშირად ადვოკატის და ძალადობაგამოვლილი ქალის განცხადებები რეაგირების გარეშე რჩება:

> *„როცა ვიცავ შშმ მსხვერპლ ქალებს, მიჭირს იმის მიღწევა, რომ პოლიციამ სერიოზულად აღიქვას მათ წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობა. ყოფილა შემთხვევა, რომ ბრალდებულის ადვოკატებს სასამართლოში მოუთხოვიათ შშმ ქალის ჩვენების არგაზიარება მისი შეზღუდული შესაძლებლობის გამო “ (რესპონდენტი N8 შშმ ქალთა უფლებებზე მომუშავე ადვოკატი).*

იშვიათ შემთხვევებში ქალები აღნიშნავდნენ, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები მათ პატივისცემით ექცეოდნენ. თუმცა, დადებითი გამოცდილება გამოვლინდა, როგორც გამონაკლისი შემთხვევა.

სამართალდამცავი ორგანოების ნდობა წარმოადგენს სისტემური გენდერული თანასწორობისა და დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირების აუცილებელ საფუძველს. ქალების როგორც უარყოფითი, ისე დადებითი გამოცდილება აისახება თემის წევრს სხვა ქალებზე და ქმნის

წინასწარ განწყობებს: მიმართონ თუ არა თავადაც სამართალდამცავ ორგანოებს. ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ მართლმსაჯულებაში მონაწილე პირებმა არ დაუშვან დისკრიმინაციული დამოკიდებულება შშმ ქალის მიმართ და გაითვალისწინონ, რომ ერთმა დისკრიმინაციულმა დამოკიდებულებამ არა მხოლოდ კონკრეტული ქალის, არამდე სხვა ქალების შემთხვევებშიც, შესაძლებელია, გამოიწვიოს მათი მართლმსაჯულების პროცესიდან გარიყვა და სხვა მძიმე შედეგი.

სასამართლო პროცესებში მონაწილეობის ბარიერები

საქართველოში სასამართლო პროცესებში შშმ ქალების სრულფასოვანი ჩართულობა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი გამოწვევაა. მართლმსაჯულების პროცესში სრულფასოვნად მონაწილეობისთვის აუცილებელია, რომ სამიზნე ჯგუფს ჰქონდეს შესაძლებლობა სასამართლოში დასვას შეკითხვები, წარადგინოს საკუთარი პოზიცია და მოისმინოს სასამართლოსგან არგუმენტირებული განმარტებები. მიიღოს მხარდაჭერა, რაც აუცილებელია მართლმსაჯულების პროცესში სრულფასოვნად ჩართულობისთვის. კვლევის მიგნებებმა აჩვენა, რომ სასამართლო სისტემაში კვლავ არსებობს დისკრიმინაციული პრაქტიკები და სტერეოტიპული დამოკიდებულებები, რომლებიც მნიშვნელოვნად ზღუდავს შშმ ქალების მონაწილეობას მართლმსაჯულების პროცესში:

> *„ის ქალი შორის იყო მოსამართლეობისგან. ერთი სიტყვა არ უთქვამს და არ უკითხავს. როგორც ამ სკამს არ დალაპარაკებიან, ისე მე" (რესპონდენტი N11, 63 წლის ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე ქალი).*

კვლევის ფარგლებში რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ სასამართლო პროცესები იყო მათთვის დამთრგუნველი, რომ ისინი ვერ გრძნობდნენ თავს თანასწორად პროცესის სხვა მონაწილეებთან შედარებით. უთითებდნენ მოძალადის ადვოკატის მხრიდან დამადანაშაულებელ ან დისკრიმინაციულ შეკითხვებზე, რაზეც სასამართლოს სათანადო რეაგირება არ ჰქონდა:

> „მოძალადის ადვოკატი ცდილობდა ჩემს დისკრედიტაციას. მოსამართლეს ამაზე არ ჰქონია რეაგირება. ეს გააპროტესტა ჩემმა ადვოკატმა. ამ დროს მოსამართლემ უხეშ და მაღალ ტონში მოგვმართა „თქვენ ვინ ხართ საერთოდ?" ამდენი ძალადობის მერე მივმართე სასამართლოს და კიდევ რომ აქეთ გიტევენ დაზარალებულს" (რესპონდენტი N2, 32 წლის ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე ქალი).

კვლევაში მონაწილე ქალები, სამართალდამცველებთან ურთიერთობის გამოცდილების მსგავსად, სასამართლო პროცესებში მონაწილეობისას მხარდამჭერ და პოზიტიურ გამოცდილებაზე გამონაკლის შემთხვევებში უთითებდნენ.

რამდენიმე შემთხვევაში რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ მოსამართლეები შეეცადნენ უზრუნველეყოთ ინკლუზიური გარემო და გაეთვალისწინებინათ შშმ პირების საჭიროებები. თუმცა, აღნიშნული დადებითი ტენდენციები დიდწილად გამომდინარეობდა კონკრეტული მოსამართლის ინდივიდუალური დამოკიდებულებებიდან.

კვლევამ გამოავლინა, რომ საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების სასამართლო პროცესებში ჩართულობა მნიშვნელოვან სისტემურ ბარიერებთან არის დაკავშირებული. დისკრიმინაციული დამოკიდებულებები, სტერეოტიპული მიდგომები და სასამართლოს არასენსიტიურობა ზღუდავს ქალების თანასწორ მონაწილეობას მართლმსაჯულების პროცესში. მართლმსაჯულების პროცესში შშმ ქალები ხშირად ხდებიან დისკირმინაციის, უნდობლობისა და მეორეული ტრავმის მსხვერპლნი.

აღნიშნული გარემოება ხაზს უსვამს სასამართლო სისტემის შშმ პირების საჭიროებებზე მორგებული პროცედურების დანერგვისა და პროცესის მონაწილეთა გადამზადების აუცილებლობას, რათა უზრუნველყოს მართლმსაჯულების პროცესში სამიზნე ჯგუფის თანასწორი მონაწილეობა და მათი უფლებების რეალური დაცვა.

დასკვნა

კვლევის მიზანი იყო ინტელექტუალური შეზღუდვისა და ფსიქო–სოციალური საჭიროების მქონე ქალების მართლმსაჯულებაზე წვდომის შეფასება საქართველოში, არსებული ბარიერების, გამოწვევებისა და სისტემური ხარვეზების იდენტიფიცირება.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ინტელექტუალური შეზღუდვისა და ფსიქო–სოციალური საჭიროების მქონე ქალების მართლმსაჯულებაზე წვდომა საქართველოში კვლავ სერიოზული გამოწვევაა. მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული ნაბიჯებისა, პრაქტიკაში არსებული სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს სამიზნე ჯგუფის უფლებების სრულფასოვან დაცვას.

მიგნებებმა აჩვენა, რომ ინტელექტუალური შეზღუდვისა და ფსიქო–სოციალური საჭიროების მქონე ქალები ერთდროულად აწყდებიან ინდივიდუალურ, სოციალურ, ფინანსურ და ინსტიტუციურ ბარიერებს, რომელთა ერთობლიობა ქმნის ორმაგ დისკრიმინაციას როგორც გენდერული, ისე შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით.

ინფორმაციის ნაკლებობა საკუთარი უფლებებისა და სამართლებრივი მექანიზმების შესახებ, ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების შეზღუდული მისაწვდომობა და ადაპტირებული რესურსების არქონა განსაკუთრებით მწვავედ აისახება რეგიონებში მცხოვრებ ქალებზე. შშმ ქალები განიცდიან მხარდამჭერთა წრის სიმცირეს. ზოგიერთ შემთხვევაში კი ოჯახის წევრების და ახლობლების მხრიდან იღებენ მითითებებს, რომ არ ისაუბრონ ძალადობის შესახებ. მოძალადეზე ფინანსური დამოკიდებულება, შურისძიების და შვილების დაკარგვის შიში სამიზნე ჯგუფს აიძულებს თავი შეიკავოს სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობისგან. აღნიშნული ბარიერების ერთობლიობა მართლმსაჯულების მისაწვდომობას სამიზნე ჯგუფისთვის ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის.

კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ სასამართლოს და საგამოძიებო ორგანოს თანამშრომლები არ ფლობენ საკმარის ცოდნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებსა და საჭიროებების შესახებ. შშმ ქალებთან კომუნიკაციის დროს არ არის უზრუნველყოფილი დისკრიმინაციისგან თავისუფალი და ინკლუზიური გარემო, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს მათ მიმართ უთანასწორობას მართლმსაჯულების პროცესში.

კვლევის შეზღუდვებიდან გამომდინარე, ზემოთ მითითებული ბარიერები მხოლოდ ნაწილია იმ სისტემური გამოწვევების, რაც სამიზნე ჯგუფს არ აძლევს მართლმსაჯულების პროცესში სრულფასოვნად ჩართულობის შესაძლებლობას.

კვლევის შედეგები ნათლად აჩვენებს, რომ ინტელექტუალური შეზღუდვისა და ფსიქო–სოციალური საჭიროების მქონე ქალების მართლმსაჯულებაზე წვდომა მოითხოვს სისტემურ და კომპლექსურ

ცვლილებებს როგორც პოლიტიკის, ისე პრაქტიკის დონეზე. ამგვარი ნაბიჯები მნიშვნელოვანია შშმ ქალთა სისტემური გარიყულობის დაძლევის და მათთვის მართლმსაჯულების პროცესში თანასწორი და ღირსეული მონაწილეობისთვის.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას

- შეიმუშაოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის პრინციპებზე დაფუძნებული შშმ პირებისთვის სამართლებრივ მექანიზმებზე წვდომის ეროვნული სტრატეგია;
- შეიმუშაოს სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს შშმ ქალების ფინანსურ გაძლიერებასა და დამოუკიდებლობას;
- შეიქმნას საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც მორგებული იქნება სამიზნე ჯგუფის საჭიროებებზე და მისცემს შესაძლებლობას მიიღონ ინფორმაცია საკუთარ უფლებებსა და სამართლებრივ მექანიზმებზე.

იუსტიციის საბჭოს

- უზრუნველყოს მოსამართლეთა გადამზადება სამიზნე ჯგუფის უფლებების, მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან არიდების, მართლმსაჯულების პროცესში სრულფასოვნად ჩართულობის და ინკლუზიური გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად.

შინაგან საქმეთა სამინისტროს

- უზრუნველყოს ყველა რგოლის თანამშრომლების, განსაკუთრებით გამომძიებლების და პატრულ–ინსპექტორების გადამზადება სამიზნე ჯგუფის უფლებების შესახებ;
- შეიმიშაოს სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს საგამოძიებო ორგანოს თანამშრომლებთან სამიზნე ჯგუფის უსაფრთხო, ღირსეულ და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული პირობების შექმნას;
- უზრუნველყოს სამიზნე ჯგუფის ძალადობის შემთხვევებზე დეტალური სტატისტიკური მონაცემების შეგროვება;
- უზრუნველყოს მოძალადეებისთვის შემკავებელი და დამცავი ორდერის გაცემის შემთხვევაში, ძალადობრივი ქცევის კორექციის სავალდებულო კურსის გავლა.

ბიბლიოგრაფია

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. (1980).ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (CEDAW).

https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/convention-elimination-all-forms-discrimination-against-women

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. (2008).

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (CRPD).

https://social.desa.un.org/issues/disability/crpd/convention-on-the-rights-of-persons-with-disabilities-articles

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი. (2014).

ზოგადი კომენტარი №1 (2014), მუხლი 12: სამართლის წინაშე თანასწორი აღიარება.

https://www.ohchr.org/en/documents/general-comments-and-recommendations/general-comment-no-1-article-12-equal-recognition-1

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი. (2016).

ზოგადი კომენტარი №3 (2016), მუხლი 6: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და გოგოები.

https://www.ohchr.org/en/documents/general-comments-and-recommendations/general-comment-no3-article-6-women-and-girls

გაეროს ქალთა ორგანიზაცია. (2021).

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები საქართველოში.

https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2021/women%20with%20desabilities%20brief%20Geo.pdf

გაეროს ქალთა ორგანიზაცია და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2022).

ეროვნული კვლევა ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ საქართველოში.

https://georgia.unwomen.org/en/digital-library/publications/2023/12/national-study-on-violence-against-women-in-georgia-2022

საქართველოს სახალხო დამცველი. (2024).

სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ საქართველოში.

[1] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი (2016). ზოგადი კომენტარი №3: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების შესახებ.

[2] მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO) და მსოფლიო ბანკი, ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ (ჟენევა, 2011).

[3] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი (2016). ზოგადი კომენტარი №3: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების შესახებ.

[4] გაეროს ქალთა ორგანიზაცია და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ეროვნული კვლევა ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში (2022)

[5] გაეროს ქალთა ორგანიზაცია და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ეროვნული კვლევა ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში (2017)

[6] გაეროს ქალთა ორგანიზაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები საქართველოში (2021)

[7] ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია N19 ქალთა მიმართ ძალადობა (1992)

[8] გაეროს ქალთა ორგანიზაცია და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ეროვნული კვლევა ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში (2022)

[9] გაეროს ქალთა ორგანიზაციის ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები საქართველოში (2021)

[10] გაეროს ქალთა ორგანიზაცია და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ეროვნული კვლევა ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში (2022)

[11] საქართველოს სახალხო დამცველი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ 2024 წლის სპეციალური ანგარიში

[12] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 26 აგვიტოს წერილი MIA 5 25 02760675

[13] 2025 წლის 12 აგვისტოს წერილი საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს „112"; საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს 2025 წლის 21 აგვისტოს პასუხი

[14] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 28 აგვისტოს წერილი MIA 5 25 02760675

[15] 2025 წლის 12 აგვისტოს წერილები საქალაქო სასამართლოებს და მიღებული პასუხები.

[16] https://matsne.gov.ge/ka/document/view/6171895?publication=0

[17] https://matsne.gov.ge/ka/document/view/31510?publication=36

[18] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი (2016). ზოგადი კომენტარი №3: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების შესახებ.